ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მაჟორიტარი მარეხ ნიჟარაძის, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N3

9 ნოემბერი, 2021 წელი, 18:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, ხარაზოვის ბაღი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები, 30 მოქალაქე. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ.** საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ვლასი გარდაფხაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თეონა მამრიკიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, ქალბატონმა, მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2021 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი-

„საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2021 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე.** მან აღნიშნა: მოგახსენებთ, რომ მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრს, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარს, მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან და მოქალაქეებთან, რომლებთაც ვხვდები, როგორც საკრებულოს შენობაში, ასევე საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის

შენობაში, ხშირად გავდივარ უბნებზე, რათა უკეთ გავიგო მოსახლეობის პრობლემები, თუ ვის რა უჭირს. ამ შეხვედრების დროს, მოსახლეობა ითხოვს სხვადასხვა სახის დახმარებას და იკვეთება არაერთი პრობლემა. ძირითადი პრობლემები ეხება ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს. აღნიშნული პრობლემების მოგვარებისა და გადაჭრის მიზნით მოსახლეობა ხშირად მოგვმართავს, როგორც სიტყვიერად, პირადი შეხვედრების დროს, ასევე წერილობითი განცხადებებით. 2021 წლის იანვრიდან დღემდე ჩემს სახელზე 70-ზე მეტი განცხადება და წერილობითი მომართვაა შემოსული. თითოეულ მათგანზე მყისიერად მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობა და წარმოება შესრულდა ვადა გადაცილების გარეშე.

მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ, მოსახლეობასთან ჩემს მიერ გამართული შეხვედრების თაობაზე. ყოველ სამშაბათს, საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში მაქვს ამომრჩევლების მიღება 12:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე. 2021 წლის განვლილ პერიოდში ადმინისტრაციულ ერთეულში მივიღე დაახლოებით, 500 მოქალაქე. ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრის მიზნით, როგორიცაა: გარე განათების დაზიანებული ბოძების აღდგენა, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება, მატერიალური დახმარება და სხვა საკითხები. ჩემს მიერ ხდება მათი პრობლემების შესწავლა და უშუალო ჩართვა მათ გადაჭრაში. ხშირად პრობლემის მოგვარება ხდება ადგილზევე, შესაბამის სამსახურთან შუამდგომლობის შედეგად.

საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც შეეხო გზებს, საყრდენ კედლებსა და სხვა.

2021 წელს საფიჩხიაზე დამთავრდა გზის საფარის დაგება და მოწყობა: თბილისის ქუჩის მე-10 ჩიხში, დათა ნიჟარაძის მე-3 შესახვევის გზის საფარით მოწყობა, დასრულდა ორმოულით გზის საფარის მოწყობა დავით კლდიაშვილის მე-2 ჩიხში. დასრულდა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია: ნეკრასოვის ქუჩის N78-ში; მწვანე ყვავილას ქუჩის N11-13-ში და ასევე მოეწყო სანიაღვრე.

2021 წელს საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო ეზოები შემდეგ მისამართებზე: თბილისის ქუჩის N104-ში; სოლომონ პირველის ქუჩის N32-ში; თილისის ქუჩის N60-ში; ტ.ტაბიძის ქუჩის N29-ში.

2021 წელს საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით დაიდგა ძელ-სკამები შემდეგ მისამართებზე: 26 მაისის ქუჩის N99-თან; 26 მაისის ქუჩის მე-4 ჩიხში N3-N1-თან; 26 მაისის ქუჩის N52-თან; დათა ნიჟარაძის ქუჩის N31

,,წმინდა ნიკოლოზის“ ეკლესიასთან; დათა ნიჟარაძის ქუჩის N50-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩის N2 ,,ამაღლების“ ეკლესიასთან; დავით კლდიაშვილის ქუჩის N1 ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან; დავით კლდიაშვილის ქუჩის N104-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი N11-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩა მე-6 შესახვევი N30-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩის მე-6 შესახვევში N22-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩის N137-თან; დავით კლდიაშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში N2-თან; სოლომონ პირველის ქუჩის N73-თან (N5 საჯარო სკოლის მიმდებარედ); ტყაბლაძის ქუჩის N35-თან; ტყაბლაძის ქუჩის N51-თან; გელათის ქუჩის I ჩიხში N8-თან; სოლომონ მეორის ქუჩის ბოლო მონაკვეთში(მდინარე "წყალწითელას" მიმდებარე ტერიტორია); სოლომონ მეორის ქუჩის N5-თან; სოლომონ მეორის ქუჩის N6-თან; სოლომონ მეორის ქუჩის N53-55-თან; სოლომონ მეორის ქუჩის მე-4 შესახვევში N1-8-თან; სოლომონ მეორის ქუჩის N9-თან; შიო არაგვისპირელის ქუჩის N11-14-თან; შიო არაგვისპირელის ქუჩის N28-32-თან; შიო არაგვისპირელის ქუჩის N49-თან; მიზანდარის ქუჩის N25-თან; ირ.ევდოშვილის ქუჩის 1-ლი შესახვევში N7-თან; ირ.ევდოშვილის ქუჩის მე-2 შესახვევში N5-6; თბილისის ქუჩა N94-თან; ნეკრასოვის ქუჩის N82-თან; ზარდალიშვილის ქუჩის N7-თან; კოსტავას ქუჩის N55-ის წინ; წმინდა სამებას ქუჩის მე-2 შესახვევში N13-თან; წმინდა სამებას ქუჩის მე-4 შესახვევში N3-თან; წმინდა სამებას ქუჩის N51-თან; ბადრიძის ქუჩის N1-N3-თან; ტყიბულის ქუჩის მე-2 ჩიხში N6-თან; ტყიბულის ქუჩის მე-3 შესახვევში N12-თან; განათლების ქუჩის N59; განათლების ქუჩის N69-თან; განათლების ქუჩის I შესახვევში N12-28-თან; თომაშვილის ქუჩის N28-სთან; თბილისის ქუჩის N94-თან; მწვანე ყვავილას ქუჩის N62, N194, N122; მწვანე ყვავილას ქუჩის N134-თან ბოლო მონაკვეთში;

2021 წელს საფიჩხიაზე გადაიხურა ღატაკი ოჯახების სახლები, კერძოდ: სოლომონ მეორის ქუჩის N34-ში; განათლების ქუჩის N30-ში; მწვანეყვავილას ქუჩის N35-ში; მწვანეყვავილას ქუჩის N128(202)-ში; რიონჰესის ქუჩის N11-ში; მიმდინარეობს გელათის ქუჩის მე-6 ჩიხში N9-ში; მწვანეყვავილას ქუჩის N188-ში.

მიმდინარე წელს, საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით დაიდგა საბავშვო ატრაქციონები დათა ნიჟარაძის ქუჩის N21-ში, მე-11 საბავშვო ბაღის ეზოში; ტყიბულის ქუჩის მე-6 ჩიხის ბოლო მონაკვეთში. გაკეთდა გარე განათების ბოძები ტყიბულის ქუჩის მე-6 ჩიხში; დავით კლდიაშვილის ქუჩის N161-თან. მიმდინარეობს სპორტული ტრენაჟორის მინტაჟი დათა ნიჟარაძის ქუჩის N30-32-ის წინ მე-11

საბავშვო ბაღის ქვედა პერიმეტრზე. დასრულდა სპორტული ტრენაჟორის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია დავით კლდიაშვილის ქუჩის N136-თან.

პროგრამა ,,კორპუსის" ფარგლებში დამონტაჟდა სადარბაზოების შესასვლელებში რკინის საკეტიანი კარები სოლომონ პირველის ქუჩის N64-ში.

მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის, კერძოდ ტორტუარების მოწყობა 26 მაისის ქუჩაზე, მწვანე ყვავილას პანთეონის შიდა გზის მოწყობა გრანიტის საფარით.

ასევე წელს მიმდინარეობს N8 და N22 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.

რაც შეეხება სამომავლო პროექტებს, 2021 წელს იგეგმება და ტენდერზე არის გასული შემდეგი პროექტები: დავით კლდიაშვილის ქუჩის N1-თან ატრაქციონის რეაბილიტაცია; საყრდენი კედლის რეაბილიტაცია რიონჰესის ქუჩა N15-17-ში; სოლომონ მეორეს ქუჩის N28-ში საყრდენი კედლის მოწყობა; დავით კლდიაშვილის ქუჩაზე არსებული ბეტონის საფარის რეაბილიტაცია;, თომაშვილის ქუჩა N1 ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა; თბილისის ქუჩის N83-თან სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი დავით კლდიაშვილის მე-6 შესახვევში N15 საცხოვრებელ სახლთან გამავალი და ტყიბულის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზაზე არსებული კიბეების განახლება რეაბილიტაცია.

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძიებაში ვღებულობ მონაწილეობას, ვხვდები არასამთავრობო ორგანიზაციებს, მონაწილეობას ვიღებ მათ მიერ დაგეგმილ ტრენინგებში, ხშირად მიწევს ქალაქის ადგილობრივ ტელეკომპანიების გადაცემებში მონაწილეობის მიღება და ინტერვიუები, ასევე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვარ, გენდერული საბჭოს წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ორივე კომისიის სხდომებს ვესწრები სისტემატიურად და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ ქალაქის ეკონომიკისა და კეთილმოწყობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში. აქტიურად ვესწრები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებს. ინტენსიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებასა და მისი შესრულების პროცესში. როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია ,,ფრაქცია ქართული ოცნების" თავმჯდომარეს, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მაქვს ფრაქციის 11 და გაერთიანებული 15 ჯამში 26 სხდომა.

ზემოაღნიშნული ოფიციალური ხასიათის შეხვედრების გარდა, ხშირია ყოველდღიური შეხვედრები საკრებულოში, სადაც მოქალაქეები მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით, საკრებულოს საშვთა ბიუროს მონაცემებით, საკრებულოში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა 2021 წელს შეადგენს 300 ადამიანზე მეტს. მათი პრობლემების უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი, მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობთ, რომ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო მაქსიმალური დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში მისი მოგვარებისათვის.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს:

მოქალაქეებმა ძირითადად მადლობა გადაუხადეს მაჟორიტარს გაწეული მუშაობის თაობაზე და საფიჩხიის ადმონისტრაციულ ერთეულში განხორიცელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, ქალბატონი მარეხ ნიჟარაძის 2021 წლის (იანვრის თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით) თერთმეტ თვეში გაწეულ მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი მარეხი ნიჟარაძე